

შპს „ბიუთი სიქრეთ“

საიდენტიფიკაციო კოდი: 405002679

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს  
დასრულებული საანგარიშო წლისთვის

---

შპს „ბიუთი სიკრეტს“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს  
დასრულებული წლისთვის  
(ქართული ლარი)

beauty  
secrets



### ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

|                                                        | 2023             | 2022             | 2021             |
|--------------------------------------------------------|------------------|------------------|------------------|
| <b>აქტივები</b>                                        |                  |                  |                  |
| შუილი და ფულის ეკვივალენტები                           | 160,086          | 533,082          | 124,419          |
| საგაჭრო მოთხოვნები                                     | 1,229,181        | 1,076,751        | 818,553          |
| გადახდელი ავანსები                                     | 45               | 45               | 45               |
| თანამშრომელთა მიმართ მოთხოვნები                        | -                | -                | 3,315            |
| მზა პროდუქცია                                          | 1,236,729        | 755,612          | 758,712          |
| საგადასახადო აქტივი                                    | 34,856           | 29,800           | 46,751           |
| ძირითადი საშუალებები                                   | 30,155           | 56,913           | 98,950           |
| არანატერიალური აქტივები                                | 2,959            | 3,103            | 3,103            |
| ინვესტიციები შეიღობილ კომპანიებში                      | -                | -                | -                |
| ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ<br>ინსტრუმენტებში | -                | -                | -                |
| <b>სულ აქტივები</b>                                    | <b>2,694,010</b> | <b>2,455,308</b> | <b>1,853,849</b> |
| <b>ვალდებულებები</b>                                   |                  |                  |                  |
| საგაჭრო ვალდებულებები                                  | 107,064          | 199,635          | 162,248          |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ                     | 11,426           | 5,689            | 125              |
| საგადასახადო ვალდებულებები                             | 2,053            | -                | 3,307            |
| მიმდინარე სასესხო ვალდებულებები                        | 39,319           | 32,424           | 39,319           |
| გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები                     | -                | -                | 15,488           |
| გადასახდელი პროცენტები                                 | 5,866            | 4,972            | 5,866            |
| სხვა ვალდებულებები                                     | 126              | 126              | 126              |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                               | <b>165,655</b>   | <b>242,847</b>   | <b>229,279</b>   |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                               |                  |                  |                  |
| კაპიტალი                                               | 38,292           | 38,292           | 43,089           |
| გაუნაწილებელი მოგება / ზარალი                          | 2,490,063        | 2,174,169        | 1,581,481        |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                           | <b>2,528,355</b> | <b>2,212,461</b> | <b>1,624,570</b> |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>          | <b>2,694,010</b> | <b>2,455,308</b> | <b>1,853,849</b> |

დირექტორი:



/ მ. სურგულაძე /

შპს „ბიუთი სიქრეტს“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს

დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარი)

beauty  
secrets



**მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის  
ანგარიშგება**

|                                                                                   | 2023               | 2022             |
|-----------------------------------------------------------------------------------|--------------------|------------------|
| ნეტო ამონაგები                                                                    | 5,066,544          | 4,048,164        |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება                                             | (2,805,229)        | (2,181,043)      |
| <b>საერთო მოგება</b>                                                              | <b>2,261,315</b>   | <b>1,867,121</b> |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                                                          | (604,434)          | (535,864)        |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                                              | (36,479)           | (51,868)         |
| საპროცენტო ხარჯი                                                                  | -                  | (164)            |
| იჯარის ხარჯი                                                                      | (190,157)          | (199,122)        |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი                                          | (370,430)          | (203,414)        |
| <b>სულ საოპერაციო ხარჯები</b>                                                     | <b>(1,201,511)</b> | <b>(990,432)</b> |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                                                          | <b>1,059,804</b>   | <b>876,690</b>   |
| <b>გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:</b>                                         |                    |                  |
| წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო<br>ოპერაციებიდან                         | 58,062             | (14,606)         |
| სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)                                     | (10,198)           | (7,242)          |
| <b>მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე<br/>განგრძობითი ოპერაციებიდან</b> | <b>1,107,668</b>   | <b>854,841</b>   |
| მოგების გადასახადი                                                                | (96,908)           |                  |
| <b>მოგება/(ზარალი)</b>                                                            | <b>1,011,760</b>   | <b>854,841</b>   |
| <b>სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):</b>                                          |                    |                  |
| მალიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)                                                | 1,011,760          | 838,139          |
| კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)                                  | 2,212,461          | 2,127,913        |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)                                    | (543,220)          | (245,451)        |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში                                             | (152,645)          |                  |
| <b>კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს</b>                                      | <b>2,528,355</b>   | <b>2,720,600</b> |

დირექტორი:



/ 8. სურგულაძე /

შპს „ბიუთი სიქრეტს“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს  
დასრულებული წლისთვის  
(ქართული ლარი)

beauty  
secrets



## **ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

### **1. ძირითადი საქმიანობა**

დედა კომპანია დაფუძნდა 2013 წლის 25 ივლისს და მდებარეობს საქართველოში, „კომპანია“ შეიქმნა შესუღებული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის რეგულაციების შესაბამისად.

„კომპანიის“ რეგისტრირებული იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რ-ნი ვაჟა-ფშაველას გამზირი, კვარტალი VI, კორპუსი 21, ბინა 13, სოლო ფაქტობრივი მისამართია: ქ. თბილისი, ფალიაშვილის ქ. N66. „კომპანიის“ საიდენტიფიკაციო კოდია - 405002679.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ყავს ერთი მფლობელი: ელმან შაჰმაროღლი მამუდოვი (CO2378204 -აზერბაიჯანი).

კომპანიის დირექტორი მაია სერგულაძე (პ/ნ: 01023012152).

შვილობილი კომპანია შპს სკინ კოდი დაფუძნდა 2018 წლის 30 აპრილს. კომპანიის რეგისტრირებული იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რ-ნი, ფალიაშვილის ქ. N66, სარდაფი.

შვილობილი კომპანიის 100% წილის მფლობელს წარმოადგენს დედა კომპანია, შპს „ბიუთი სიქრეტს“

შვილობილი კომპანიის დირექტორია მადინა ქურთაული (პ/ნ: 01025001537)

ორივე კომპანიის ძირითადი ბიზნეს საქმიანობაა საბითუმო და საცალო ვაჭრობა კოსმეტიკური და პარფიუმერული ნაწარმით საქართველოს მასშტაბით „ჯგუფი“ ფლობს ერთ საწარმოო ობიექტს და არ აქვს ფილიალი.

საქართველოში საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის ლიბერალიზაციით გამოწვეული ცვლილებები ხელს უწყობს საქართველოში მომუშავე კომპანიებსა და სულ უფრო ინვესტიცია მიმზიდველს ხდის ქვეყნის ბიზნეს გარემოს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ 2016 წლის 13 მაისს საგადასახადო კანონმდებლობაში შესულმა ცვლილებამ, მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით და ძალაშია 2017 წლის 01 იანვრიდან), რომლის მთავარ „მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტს“ წარმოადგენს განაწილებული მოგება და არა მიმდინარე პერიოდის მოგება, საშუალება მისცა კომპანიებს მოგების გადასახადის თანაა გამოიყენონ ბიზნესის განვითარებისათვის.



## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ მოცემულია ჯგუფის მიერ თავისი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომლებიც თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე.

### აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

ჯგუფი აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ნავარაუდევია აქტივის გაყიდვა, ან აქტივი გამიზნულია გასაყიდად ან მოხმარებისთვის ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- აქტივი ძირითადად გამოიყენება სავაჭრო დაპიშნულებით;
- ნავარაუდევია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში;
- აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც.

ყველა სხვა აქტივი უნდა მიეკუთვნოს გრძელვადიან აქტივებს.

ვალდებულება მოკლევადიანია, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის წინ მიმდინარე თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ გააჩნია.

ყველა სხვა სახის ვალდებულებას ჯგუფი გრძელვადიან ვალდებულებად მიიჩნევს.

### ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

#### ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც ჯგუფი ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ჯგუფის სამუშაო და წარადგენი ვალუტაა.



## ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული ფულადი მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმომადგენელი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

## ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტი მოიცავს ნასყიდობის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის საშუალო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აღირიცხება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, ან აღიარდება, როგორც დანოვანებული აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა და შეფასება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში, მოგება-ზარალში ასახვით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ საშუალო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში მათი ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე გასანაწილებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა მეთოდი. ცვეთის დასაძვები მეთოდებია: წრფივი მეთოდი, კლებადი ნაშთის მეთოდი და მეთოდი, რომელიც ეყრდნობა აქტივის მოსალოდნელ გამოყენებას, როგორცაა წარმოებულ ერთეულთა მქონე. კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ განხორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწრა, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

| ჯგუფი                               | სასარგებლო მომსახურების ვადა |
|-------------------------------------|------------------------------|
| საოფისე აღჭურვილობა,                | 3-დან 8 წლამდე               |
| ავტო და ინვენტარი                   | 3-დან 8 წლამდე               |
| იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა | 5-დან 10 წლამდე              |



თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვთის მეთოდების გადახედვა. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ბოლო წლიური საანგარიშგებო თარიღის შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვალა ამა თუ იმ აქტივიდან მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის გამოყენების პასივით, საწარმომ უნდა გაანალიზოს ცვთის არსებული მეთოდი და იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარე პერიოდის მოლოდინები განსხვავებულია, საწარმომ უნდა შეცვალოს აქტივის ცვთის მეთოდი, აქტივის მოხმარების ახალი სტრუქტურის ასახვის მიზნით. აღნიშნული ცვლილება აისახება, როგორც საადრინესო შეფასებების ცვლილება.

თუ არსებობს გაუფასურების კომპონენტები, აქტივის საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე დაუყოვნებლივ. თუ მოცემული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს.

ძირითადი საშუალებების აღიარება წყდება მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში; ან როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არახაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.


ჯგუფმა ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება წყდება. საწარმომ ასეთი სახის შემოსულობას არ უნდა მიაწიოს ამონაგების კლასიფიკაცია.

### სესხები და კრედიტები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხებისა და კრედიტების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

### ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, გაუქმების, ან ამოწურვის შემთხვევაში, როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, არსებითად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში. ასეთი ჩანაცვლება, ან ცვლილება მიჩნეულ უნდა იქნეს საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება მოგებაში ან ზარალში.



## სასაქონლო-მატერიალური მარაგები

წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს მიწის პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებს შორის უმცირესი თანხით.

ნედლეული და დამხმარე მასალები, რომლებიც განკუთვნილია სასაქონლო მატერიალური მარაგების საწარმოებლად, არ ჩამოფასებულია თვითღირებულებაზე დაბლა, ვინაიდან მათი მონაწილეობით წარმოებული მზა პროდუქცია გაიყიდება თვითღირებულების შესაბამის, ან თვითღირებულებაზე მაღალ ფასში.

სასაქონლო-მატერიალური ფასულობების თვითღირებულება მოიცავს შეძენის დანახარჯებს, გადამუშავების (კონვერსიის) დანახარჯებს და სხვა დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.


### შეძენის დანახარჯები:

მარაგის შეძენის დანახარჯები მოიცავს: მის შეძენის (ჩასყიდობის) ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (იმ გადასახადების გარდა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნონ შემდგომში), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებსა და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სავაჭრო დათმობა, ახვადასხვა სახის ფასდათმობები და სხვა ანალოგიური მუხლები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებაში.

### გადამუშავების დანახარჯები:

მარაგის გადამუშავების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან, როგორიცაა, მაგალითად პირდაპირი შრომითი დანახარჯები, ისინი მოიცავს აგრეთვე სისტემატურად გასანაწილებელ მუდმივ და ცვლად დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის, გადამუშავების პროცესში. მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც წარმოების მოცულობის ცვლილებასთან მიმართებაში უცვლელი რჩება. ესენია: ცვეთის ანარიცხები, საწარმოო შენობებისა და ნოწყობილობების საექსპლუატაციო დანახარჯები, აგრეთვე საწარმოო ადმინისტრაციულ-მმართველობითი დანახარჯები. ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილების პირდაპირპროპორციულად, ან დაახლოებით პირდაპირპროპორციულად, როგორიცაა, მაგალითად დანახარჯები არაპირდაპირ მასალებსა და არაპირდაპირ სამუშაო ძალაზე.

კომპანია მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას.



სასაქონლო-მატერიალური ფასულობების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაიყიდება და რისკი და კონტროლი გადადის მყიდველზე. გაყიდვის შემდეგ სასაქონლო-მატერიალური ფასულობები მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება, როგორც დანახარჯი იმავე პერიოდში, როდესაც აღიარდება მათი რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავალი და მაშინ, როდესაც მარაგი გაუფასურებულია.

## **სავაჭრო და სხვა დებიტორულ/კრედიტორული დავალიანება**

### **სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება**

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები არის ბიზნესის ძირითადი საქმიანობის შედეგად წომხმარებლისგან მისაღები თანხები. ზოგადად, როცა მათი დაფარვის ვადა შედგენს არაუმეტეს 30 დღეს, შესაბამისად კლასიფიცირდება მოკლევადიან აქტივებად. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასის ოდენობით, რომელიც უპირობოა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტებს, როდესაც მათი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით. კომპანია ფლობს სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებს იმ მიზნით, რომ მომავალში მიიღოს კონტრაქტით გათვალისწინებული ფულადი ნაკადები.

### **მოთხოვნების გაუფასურება**

კომპანია რეგულარულად ამოწმებს თავის დებიტორულ დავალიანებებს გაუფასურების შეფასების მიზნით. ნებისმიერი გაუფასურების ზარალის გამოსათვლელად იგი იყენებს შეფასების საკუთარ მეთოდს, როდესაც ისტორიული მონაცემი თუ მოიპოვება და ფინანსური პრობლემები აქვს მსგავს დებიტორებთან დაკავშირებით. ამის მსგავსად, კომპანია აფასებს ცვლილებებს მომავალ ფულად ნაკადებში იმ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც მიუთითებს, რომ ჯგუფში, დებიტორების გადახდის სტატუსთან დაკავშირებით რადიკალური ცვლილება მოხდა, ან კიდევ ეს ცვლილება განხორციელდა ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების მიხედვით, რომელიც უკავშირდება ვალდებულების შეუსრულებლობას აქტივების ჯგუფთან დაკავშირებით. კომპანიას აქვს უიმედო დებიტორული დავალიანების რეზერვი.

### **სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება**

სავაჭრო კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში, იგი თავდაპირველად საწყისი ღირებულებით აღიარდება, შემდეგ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები უზრუნველყოფილია და უმეტესად მათი დაფარვის ვადა შეადგენს აღიარების მომენტიდან არაუმეტეს 30 დღეს.



## ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს საბანკო ანგარიშებზე და კომპანიის საღარიბოში არსებულ თანხებს, ასევე მოკლევადიან დეპოზიტებს, რომლებიც არანაკლებ სამი თვისაა.

ფულადი ნაკადების ანგარიშგებისთვის, ფულადი სახსრები ან მათი ეკვივალენტები შედგება ფულადი სახსრებისა და მოკლევადიანი დეპოზიტებისგან, მიმდინარე საბანკო ოვერდრაფტების გამოკლებით.

## საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით და აღიარდება დამფუძნებლის შენატანის რეალური ღირებულებით.

## შემოსავლის და ხარჯის აღიარება

შემოსავლების და ხარჯის აღიარებისთვის კომპანია იყენებს დარიცხვის მეთოდს.

## შემოსავლის აღიარება

შემოსავლების ასახვა ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოღინების ალბათობა მაღალია. ამასთან, შესაძლებელია შემოსავლების სანდო შეფასება მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდება გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული, ან მისაღები ანაზღაურების საშარათლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. კომპანიამ დაასკვნა, რომ შემოსავლებთან დაკავშირებულ ყველა გარიგებაში გამოღის პრინციპალის სახით, რადგან იგი ძირითადი მოვალეა ყველა ასეთ გარიგებაში, აქვს ფასდადების მხრივ თავისუფლება და ატარებს სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურებისა და საკრედიტო რისკებს.

## ხარჯის აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან, ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია წისი საიმედოდ შეფასება. ხარჯების აღიარება ხდება უშუალოდ მის გაწევასთან დაკავშირებული შემოსავლების შეპირისპირების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს, ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.



### ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ორგანიზაციის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

### 3. დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების საწყისი აღიარება

ჩვეულებრივი საქმიანობისას კომპანია ახორციელებს ოპერაციებს თავის დაკავშირებულ მხარესთან. კომპანია დაკავშირებულ მხარესთან განხორციელებული ოპერაციების დროს ხელმძღვანელობს „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“.

### 4. ფუნქციონირებადი საწარმო

წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. ამ შეფასების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ იხელმძღვანელა კომპანიის ფინანსური მდგომარეობით, ოპერაციების შედეგებით, არსებული განხრახვებით და მომავალი ოპერაციების ანაღიზით.

#### ფული და ფულადი ექვივალენტები

|                                         | 12/31/2022     | 12/31/2023     |
|-----------------------------------------|----------------|----------------|
| ლარი საბანკო ანგარიშებზე                | 449,935        | 157,460        |
| უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე      | 81,965         | 2,330          |
| ნაღდი ფული სალაროში                     | 1,182          | 295            |
| ჯამურად ნაღდი ფული სალაროში             | 1,182          | 295            |
| <b>სულ ფული და ფულადი ექვივალენტები</b> | <b>533,082</b> | <b>160,086</b> |

შპს „ბიუსთი სიქრეტს“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს  
დასრულებული წლისთვის  
(ქართული ლარი)

beauty  
secrets



#### სავაჭრო მოთხოვნები და გადახდილი ავანსები

|                                 | 12/31/2022       | 12/31/2023       |
|---------------------------------|------------------|------------------|
| სავაჭრო მოთხოვნები              | 1,076,706        | 1,229,181        |
| გადახდილი ავანსები              | 45               | 45               |
| <b>სულ მიმდინარე მოთხოვნები</b> | <b>1,076,751</b> | <b>1,229,226</b> |

#### სავაჭრო მოთხოვნები და გადახდილი ავანსები

|                                 | 12/31/2022       | 12/31/2023       |
|---------------------------------|------------------|------------------|
| სავაჭრო მოთხოვნები              | 1,076,706        | 1,229,181        |
| გადახდილი ავანსები              | 45               | 45               |
| <b>სულ მიმდინარე მოთხოვნები</b> | <b>1,076,751</b> | <b>1,229,226</b> |

#### ძირითადი საშუალებები

|                            | მანქანა-დანადგარები | ოფისის<br>აღჭურვილობა | ავეჯი და ინვენტარი | იჯარით არეზული<br>კონსტრუქციის<br>კეთილშეიწყობა |
|----------------------------|---------------------|-----------------------|--------------------|-------------------------------------------------|
| <b>საწყისი ღირებულება</b>  |                     |                       |                    |                                                 |
| ბალანსი 31/12/2021         | 56,329              | 9,053                 | 20,172             | 13,396                                          |
| დანამატები                 |                     | 12,485                | 3,373              |                                                 |
| აქტივების ჩამორეცხვა       | (7,508)             |                       |                    |                                                 |
| ცვეთა პერიოდისათვის        | (24,664)            | (6,875)               | (1,708)            | (8,670)                                         |
| ჩამოწერილი აქტივების ცვეთა | 1,481               |                       |                    |                                                 |
| ბალანსი 31/12/2022         | 25,638              | 14,711                | 11,837             | 4,727                                           |
| დანამატები                 | 24,074              | 9,750                 | 1,993              |                                                 |
| აქტივების ჩამორეცხვა       | (22,809)            |                       |                    | (3,323)                                         |
| ცვეთა პერიოდისათვის        | (17,608)            | (8,113)               | (7,916)            | (2,815)                                         |
| ჩამოწერილი აქტივების ცვეთა |                     |                       |                    |                                                 |
| ბალანსი 31/12/2023         | 9,295               | 16,358                | 5,915              | (1,412)                                         |
| <b>ბალანსი 31/12/2021</b>  | <b>56,329</b>       | <b>9,053</b>          | <b>20,172</b>      | <b>13,396</b>                                   |
| <b>ბალანსი 31/12/2022</b>  | <b>25,638</b>       | <b>14,711</b>         | <b>11,837</b>      | <b>4,727</b>                                    |
| <b>ბალანსი 31/12/2023</b>  | <b>9,295</b>        | <b>16,358</b>         | <b>5,915</b>       | <b>(1,412)</b>                                  |

შპს „ბიუთი სიქრეტს“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს

დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარი)

beauty  
secrets



**მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი  
ვალდებულებები**

|                                                            | 12/31/2022     | 12/31/2023     |
|------------------------------------------------------------|----------------|----------------|
| მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი<br>ვალდებულებები | 199,635        | 107,064        |
| ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე                   | 5,689          | 11,426         |
| საგადასახადო ვალდებულებები                                 | 126            | 2053           |
| სხვა მიმდინარე ვალდებულებები                               |                | 126            |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>                         | <b>205,450</b> | <b>120,670</b> |

**სასესხო ვალდებულებები**

|                         | 12/31/2022    | 12/31/2023    |
|-------------------------|---------------|---------------|
| მოკლევადიანი სესხები    | 32,424        | 39319         |
| გრძელვადიანი სესხები    | 4,972         |               |
| გადასახადელი პროცენტები |               | 5666          |
| <b>სულ სესხები</b>      | <b>37,396</b> | <b>44,985</b> |

**შემოსავალი რეალიზაციიდან და თვითღირებულება**

|                                 | 12/31/2022       | 12/31/2023       |
|---------------------------------|------------------|------------------|
| შემოსავალი რეალიზაციიდან        | 4,048,164        | 5,066,544        |
| გაყიდული მარაგის თვითღირებულება | (2,181,043)      | (2,805,229)      |
| <b>სულ წმინდა შემოსავალი</b>    | <b>1,867,121</b> | <b>2,261,315</b> |

შპს „ბიუტი სიკრეტს“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს

დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარი)

beauty  
secrets



ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები

|                                                                | 12/31/2022     | 12/31/2023     |
|----------------------------------------------------------------|----------------|----------------|
| რეკლამის ხარჯი                                                 | 29,876         | 8,955          |
| მივლინების ხარჯი                                               |                | 156,928        |
| საკონფერენციო ხარჯი                                            | 13,448         | 6,773          |
| დაცვის მომსახურება                                             | 814            | 814            |
| ხალარო აპარატების, ტელეფონების, სათვალთვალო<br>კამერების ხარჯი | 102            | 219            |
| კომუნალური ხარჯი                                               | 1,477          | 4,929          |
| კომპიუტერის ხარჯი                                              | 298            | 337            |
| კავშირგაბმულობის ხარჯი                                         | 7,477          | 6,527          |
| წარმომადგენლობითი ხარჯი                                        | 30,937         | 9,338          |
| სხვა ადმინისტრაციული ხარჯი                                     | 118,986        | 175,610        |
| <b>სულ ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები</b>                     | <b>203,414</b> | <b>370,430</b> |

დირექტორი



/მ. სურგულაძე /

**შპს „ბიუთი სიქრეთ“**

**საიდენტიფიკაციო კოდი: 405002679**

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს  
დასრულებული საანგარიშო წლისთვის**

შპს „ბიუთი სიქრეტს“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს  
დასრულებული წლისთვის  
(ქართული ლარი)

beauty  
secrets



## ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

|                                                        | 2023             | 2022             | 2021             |
|--------------------------------------------------------|------------------|------------------|------------------|
| <b>აქტივები</b>                                        |                  |                  |                  |
| ფული და ფულის ეკვივალენტები                            | 160,086          | 533,082          | 124,419          |
| სავაჭრო მოთხოვნები                                     | 1,229,181        | 1,076,751        | 818,553          |
| გადახდილი ავანსები                                     | 45               | 45               | 45               |
| თანამშრომელთა მიმართ მოთხოვნები                        | -                | -                | 3,316            |
| მზა პროდუქცია                                          | 1,236,729        | 755,612          | 758,712          |
| საგადასახადო აქტივი                                    | 34,856           | 29,800           | 46,751           |
| ძირითადი საშუალებები                                   | 30,155           | 56,913           | 98,950           |
| არამატერიალური აქტივები                                | 2,959            | 3,103            | 3,103            |
| ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში                      | -                | -                | -                |
| ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ<br>ინსტრუმენტებში | -                | -                | -                |
| <b>სულ აქტივები</b>                                    | <b>2,694,010</b> | <b>2,455,308</b> | <b>1,853,849</b> |
| <b>ვალდებულებები</b>                                   |                  |                  |                  |
| სავაჭრო ვალდებულებები                                  | 107,064          | 199,635          | 162,248          |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ                     | 11,426           | 5,689            | 125              |
| საგადასახადო ვალდებულებები                             | 2,053            | -                | 6,307            |
| მიმდინარე სასესხო ვალდებულებები                        | 39,319           | 32,424           | 39,319           |
| გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები                     | -                | -                | 15,488           |
| გადასახდელი პროცენტები                                 | 5,666            | 4,972            | 5,666            |
| სხვა ვალდებულებები                                     | 126              | 126              | 126              |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                               | <b>165,655</b>   | <b>242,847</b>   | <b>229,279</b>   |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                               |                  |                  |                  |
| კაპიტალი                                               | 38,292           | 38,292           | 43,089           |
| გაუნაწილებელი მოგება / ზარალი                          | 2,490,063        | 2,174,169        | 1,581,481        |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                           | <b>2,528,355</b> | <b>2,212,461</b> | <b>1,624,570</b> |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>          | <b>2,694,010</b> | <b>2,455,308</b> | <b>1,853,849</b> |

დირექტორი:

/ მ. სურგულაძე /

შპს „ბიუთი სიქრეტს“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს  
დასრულებული წლისთვის  
(ქართული ლარი)

beauty  
secrets



**მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის  
ანგარიშგება**

|                                                                                   | 2023               | 2022             |
|-----------------------------------------------------------------------------------|--------------------|------------------|
| ნეტო ამონაგები                                                                    | 5,066,544          | 4,048,164        |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება                                             | (2,805,229)        | (2,181,043)      |
| <b>საერთო მოგება</b>                                                              | <b>2,261,315</b>   | <b>1,867,121</b> |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                                                          | (604,434)          | (535,864)        |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                                              | (36,479)           | (51,868)         |
| საპროცენტო ხარჯი :                                                                | -                  | (164)            |
| იჯარის ხარჯი                                                                      | (190,167)          | (199,122)        |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი                                          | (370,430)          | (203,414)        |
| <b>სულ საოპერაციო ხარჯები</b>                                                     | <b>(1,201,511)</b> | <b>(990,432)</b> |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                                                          | <b>1,059,804</b>   | <b>876,690</b>   |
| <b>გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:</b>                                         |                    |                  |
| წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო<br>ოპერაციებიდან                         | 58,062             | (14,606)         |
| სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)                                     | (10,198)           | (7,242)          |
| <b>მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე<br/>განგრძობითი ოპერაციებიდან</b> | <b>1,107,668</b>   | <b>854,841</b>   |
| მოგების გადასახადი                                                                | (95,908)           |                  |
| <b>მოგება/(ზარალი)</b>                                                            | <b>1,011,760</b>   | <b>854,841</b>   |
| <b>სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):</b>                                          |                    |                  |
| მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)                                                | 1,011,760          | 838,139          |
| კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)                                  | 2,212,461          | 2,127,913        |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)                                    | (543,220)          | (245,451)        |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში                                             | (152,645)          |                  |
| <b>კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს</b>                                      | <b>2,528,355</b>   | <b>2,720,600</b> |

დირექტორი:

/ მ. სურგულაძე /

შპს „ბიუთი სიქრეტს“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს  
დასრულებული წლისთვის  
(ქართული ლარი)

beauty  
secrets



## **ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

### **1. ძირითადი საქმიანობა**

დედა კომპანია დაფუძნდა 2013 წლის 25 ივლისს და მდებარეობს საქართველოში, „კომპანია“ შეიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის რეგულაციების შესაბამისად.

„კომპანიის რეგისტრირებული იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რ-ნი ვაჟა-ფშაველას გამზირი, კვარტალი VI, კორპუსი 21, ბინა 13, ხოლო ფაქტობრივი მისამართია: ქ. თბილისი, ფალიაშვილის ქ. N66. „კომპანიის“ საიდენტიფიკაციო კოდია - 405002679.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ყავს ერთი მფლობელი: ელმან შაჰმაროლი მამმედოვი (C02378204 -აზერბაიჯანი).

კომპანიის დირექტორი მაია სურგულაძე (პ/ნ: 01023012152).

შვილობილი კომპანია შპს სკინ კოდი დაფუძნდა 2018 წლის 30 აპრილს. კომპანიის რეგისტრირებული იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რ-ნი, ფალიაშვილის ქ. N66, სარდაფი.

შვილობილი კომპანიის 100% წილის მფლობელს წარმოადგენს დედა კომპანია, შპს „ბიუთი სიქრეტს“

შვილობილი კომპანიის დირექტორია მადინა ქურთაული (პ/ნ: 01026001537)

ორივე კომპანიის ძირითადი ბიზნეს საქმიანობაა საბითუმო და საცალო ვაჭრობა კოსმეტიკური და პარფიუმერული ნაწარმით საქართველოს მასშტაბით „ჯგუფი“ ფლობს ერთ საწარმოო ობიექტს და არ აქვს ფილიალი.

საქართველოში საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის ლიბერალიზაციით გამოწვეული ცვლილებები ხელს უწყობს საქართველოში მომუშავე კომპანიებსა და სულ უფრო ინვესტიცია მიმზიდველს ხდის ქვეყნის ბიზნეს გარემოს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ 2016 წლის 13 მაისს საგადასახადო კანონმდებლობაში შესულმა ცვლილებამ, მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით და ძალაშია 2017 წლის 01 იანვრიდან), რომლის მთავარ „მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტს“ წარმოადგენს განაწილებული მოგება და არა მიმდინარე პერიოდის მოგება, საშუალება მისცა კომპანიებს მოგების გადასახადის თანხა გამოიყენონ ბიზნესის განვითარებისათვის.



## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ მოცემულია ჯგუფის მიერ თავისი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომლებიც თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე.

### აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

ჯგუფი აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ნავარაუდევია აქტივის გაყიდვა, ან აქტივი გამიზნულია გასაყიდად ან მოხმარებისთვის ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- აქტივი ძირითადად გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- ნავარაუდევია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში;
- აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც.

ყველა სხვა აქტივი უნდა მიეკუთვნოს გრძელვადიან აქტივებს.

ვალდებულება მოკლევადიანია, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ გააჩნია.

ყველა სხვა სახის ვალდებულებას ჯგუფი გრძელვადიან ვალდებულებად მიიჩნევს.

### ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

#### ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც ჯგუფი ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ჯგუფის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა.

შპს „ბიუთი სიქრეტს“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს  
დასრულებული წლისთვის  
(ქართული ლარი)

beauty  
secrets



## ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული ფულადი მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

## ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტი მოიცავს ნასყიდობის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აღირიცხება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა და შეფასება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში, მოგება-ზარალში ასახვით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში მათი ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე გასანაწილებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა მეთოდი. ცვეთის დასაშვები მეთოდებია: წრფივი მეთოდი, კლებადი ნაშთის მეთოდი და მეთოდი, რომელიც ეყრდნობა აქტივის მოსალოდნელ გამოყენებას, როგორიცაა წარმოებულ ერთეულთა მეთოდი. კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ განხორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

| ჯგუფი                               | სასარგებლო მომსახურების ვადა |
|-------------------------------------|------------------------------|
| საოფისე აღჭურვილობა,                | 3-დან 8 წლამდე               |
| ავეჯი და ინვენტარი                  | 3-დან 8 წლამდე               |
| იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა | 5-დან 10 წლამდე              |

შპს „ბიუთი სიქრეტს“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს  
დასრულებული წლისთვის  
(ქართული ლარი)

beauty  
secrets



თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ბოლო წლიური საანგარიშგებო თარიღის შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვალა ამა თუ იმ აქტივიდან მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის გამოყენების ხასიათი, საწარმომ უნდა გაანალიზოს ცვეთის არსებული მეთოდი და იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარე პერიოდის მოლოდინები განსხვავებულია, საწარმომ უნდა შეცვალოს აქტივის ცვეთის მეთოდი, აქტივის მოხმარების ახალი სტრუქტურის ასახვის მიზნით. აღნიშნული ცვლილება აისახება, როგორც საადრიცხვო შეფასებების ცვლილება.

თუ არსებობს გაუფასურების კომპონენტები, აქტივის საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე დაუყოვნებლივ. თუ მოცემული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს.

ძირითადი საშუალებების აღიარება წყდება მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში; ან როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ჯგუფმა ძირითადი საშუალებების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება წყდება. საწარმომ ასეთი სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია.

## სესხები და კრედიტები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხებისა და კრედიტების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

## ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, გაუქმების, ან ამოწურვის შემთხვევაში. როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, არსებითად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში. ასეთი ჩანაცვლება, ან ცვლილება მიჩნეულ უნდა იქნეს საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება მოგებაში ან ზარალში.



## სასაქონლო-მატერიალური მარაგები

წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს მინუს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებს შორის უმცირესი თანხით.

ნედლეული და დამხმარე მასალები, რომლებიც განკუთვნილია სასაქონლო მატერიალური მარაგების საწარმოებლად, არ ჩამოფასებულია თვითღირებულებაზე დაბლა, ვინაიდან მათი მონაწილეობით წარმოებული მზა პროდუქცია გაიყიდება თვითღირებულების შესაბამის, ან თვითღირებულებაზე მაღალ ფასში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს შეძენის დანახარჯებს, გადამუშავების (კონვერსიის) დანახარჯებს და სხვა დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

### შეძენის დანახარჯები:

მარაგის შეძენის დანახარჯები მოიცავს: მის შეძენის (ნასყიდობის) ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (იმ გადასახადების გარდა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნონ შემდგომში), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებსა და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. საჯაჭრო დათმობა, სხვადასხვა სახის ფასდათმობები და სხვა ანალოგიური მუხლები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებაში.

### გადამუშავების დანახარჯები:

მარაგის გადამუშავების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან, როგორიცაა, მაგალითად პირდაპირი შრომითი დანახარჯები. ისინი მოიცავს აგრეთვე სისტემატურად გასანაწილებელ მუდმივ და ცვლად დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის, გადამუშავების პროცესში. მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც წარმოების მოცულობის ცვლილებასთან მიმართებაში უცვლელი რჩება. ესენია: ცვეთის ანარიცხები, საწარმოო შენობებისა და მოწყობილობების საექსპლუატაციო დანახარჯები, აგრეთვე საწარმოო ადმინისტრაციულ-მმართველობითი დანახარჯები. ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილების პირდაპირპროპორციულად, ან დაახლოებით პირდაპირპროპორციულად, როგორიცაა, მაგალითად დანახარჯები არაპირდაპირ მასალებსა და არაპირდაპირ სამუშაო ძალაზე.

კომპანია მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას.

შპს „ბიუთი სიქრეტს“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს  
დასრულებული წლისთვის  
(ქართული ლარი)

beauty  
secrets



სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაიყიდება და რისკი და კონტროლი გადადის მყიდველზე. გაყიდვის შემდეგ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება, როგორც დანახარჯი იმავე პერიოდში, როდესაც აღიარდება მათი რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავალი და მაშინ, როდესაც მარაგი გაუფასურებულია.

## **სავაჭრო და სხვა დებიტორულ/კრედიტორული დავალიანება**

### **სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება**

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები არის ბიზნესის ძირითადი საქმიანობის შედეგად მომხმარებლისგან მისაღები თანხები. ზოგადად, როცა მათი დაფარვის ვადა შედგენს არაუმეტეს 30 დღეს, შესაბამისად კლასიფიცირდება მოკლევადიან აქტივებად. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასის ოდენობით, რომელიც უპირობოა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტებს, როდესაც მათი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით. კომპანია ფლობს სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებს იმ მიზნით, რომ მომავალში მიიღოს კონტრაქტით გათვალისწინებული ფულადი ნაკადები.

### **მოთხოვნების გაუფასურება**

კომპანია რეგულარულად ამოწმებს თავის დებიტორულ დავალიანებებს გაუფასურების შეფასების მიზნით. ნებისმიერი გაუფასურების ზარალის გამოსათვლელად იგი იყენებს შეფასების საკუთარ მეთოდს, როდესაც ისტორიული მონაცემი თუ მოიპოვება და ფინანსური პრობლემები აქვს მსგავს დებიტორებთან დაკავშირებით. ამის მსგავსად, კომპანია აფასებს ცვლილებებს მომავალ ფულად ნაკადებში იმ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც მიუთითებს, რომ ჯგუფში, დებიტორების გადახდის სტატუსთან დაკავშირებით რადიკალური ცვლილება მოხდა, ან კიდევ ეს ცვლილება განხორციელდა ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების მხრივ, რომელიც უკავშირდება ვალდებულების შეუსრულებლობას აქტივების ჯგუფთან დაკავშირებით. კომპანიას აქვს უიმედო დებიტორული დავალიანების რეზერვი.

### **სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება**

სავაჭრო კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში, იგი თავდაპირველად საწყისი ღირებულებით აღიარდება, შემდეგ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები უზრუნველყოფილია და უმეტესად მათი დაფარვის ვადა შეადგენს აღიარების მომენტიდან არაუმეტეს 30 დღეს.



## **ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები**

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს საბანკო ანგარიშებზე და კომპანიის სალაროში არსებულ თანხებს, ასევე მოკლევადიან დეპოზიტებს, რომლებიც არანაკლებ სამი თვისაა.

ფულადი ნაკადების ანგარიშგებისთვის, ფულადი სახსრები ან მათი ეკვივალენტები შედგება ფულადი სახსრებისა და მოკლევადიანი დეპოზიტებისგან, მიმდინარე საბანკო ოვერდრაფტების გამოკლებით.

## **საწესდებო კაპიტალი**

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით და აღიარდება დამფუძნებლის შენატანის რეალური ღირებულებით.

## **შემოსავლის და ხარჯის აღიარება**

შემოსავლების და ხარჯის აღიარებისთვის კომპანია იყენებს დარიცხვის მეთოდს.

## **შემოსავლის აღიარება**

შემოსავლების ასახვა ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოდინების ალბათობა მაღალია. ამასთან, შესაძლებელია შემოსავლების სანდო შეფასება მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდება გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული, ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. კომპანიამ დაასკვნა, რომ შემოსავლებთან დაკავშირებულ ყველა გარიგებაში გამოდის პრინციპალის სახით, რადგან იგი ძირითადი მოვალეა ყველა ასეთ გარიგებაში, აქვს ფასდადების მხრივ თავისუფლება და ატარებს სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურებისა და საკრედიტო რისკებს.

## **ხარჯის აღიარება**

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან, ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯების აღიარება ხდება უშუალოდ მის გაწევასთან დაკავშირებული შემოსავლების შეპირისპირების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოითმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს, ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

შპს „ბიუთი სიქრეტს“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს  
დასრულებული წლისთვის  
(ქართული ლარი)

beauty  
secrets



## ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ორგანიზაციის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

### 3. დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების საწყისი აღიარება

ჩვეულებრივი საქმიანობისას კომპანია ახორციელებს ოპერაციებს თავის დაკავშირებულ მხარესთან. კომპანია დაკავშირებულ მხარესთან განხორციელებული ოპერაციების დროს ხელმძღვანელობს „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“.

### 4. ფუნქციონირებადი საწარმო

წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. ამ შეფასების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ იხელმძღვანელა კომპანიის ფინანსური მდგომარეობით, ოპერაციების შედეგებით, არსებული განზრახვებით და მომავალი ოპერაციების ანალიზით.

### ფული და ფულადი ექვივალენტები

|                                         | 12/31/2022     | 12/31/2023     |
|-----------------------------------------|----------------|----------------|
| ლარი საბანკო ანგარიშებზე                | 449,935        | 157,460        |
| უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე      | 81,965         | 2,330          |
| ნაღდი ფული სალაროში                     | 1,182          | 295            |
| ჯამურად ნაღდი ფული სალაროში             | 1,182          | 295            |
| <b>სულ ფული და ფულადი ექვივალენტები</b> | <b>533,082</b> | <b>160,086</b> |

შპს „ბიუთი სიქრეტს“  
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს  
დასრულებული წლისთვის  
(ქართული ლარი)

beauty  
secrets



#### სავაჭრო მოთხოვნები და გადახდილი ავანსები

|                                 | 12/31/2022       | 12/31/2023       |
|---------------------------------|------------------|------------------|
| სავაჭრო მოთხოვნები              | 1,076,706        | 1,229,181        |
| გადახდილი ავანსები              | 45               | 45               |
| <b>სულ მიმდინარე მოთხოვნები</b> | <b>1,076,751</b> | <b>1,229,226</b> |

#### სავაჭრო მოთხოვნები და გადახდილი ავანსები

|                                 | 12/31/2022       | 12/31/2023       |
|---------------------------------|------------------|------------------|
| სავაჭრო მოთხოვნები              | 1,076,706        | 1,229,181        |
| გადახდილი ავანსები              | 45               | 45               |
| <b>სულ მიმდინარე მოთხოვნები</b> | <b>1,076,751</b> | <b>1,229,226</b> |

#### ძირითადი საშუალებები

|                            | მანქანა - დანადგარები | ოფისის<br>აღჭურვილობა | ავეჯი და ინვენტარი | იჯარით არებული<br>ქონების<br>კეთილმოწყობა |
|----------------------------|-----------------------|-----------------------|--------------------|-------------------------------------------|
| <b>საწყისი ღირებულება</b>  |                       |                       |                    |                                           |
| ბალანსი 31/12/2021         | 56,329                | 9,053                 | 20,172             | 13,396                                    |
| დანამატები                 |                       | 12,485                | 3,373              |                                           |
| აქტივების ჩამოწერა         | (7,508)               |                       |                    |                                           |
| ცვეთა პერიოდისათვის        | (24,664)              | (6,826)               | (11,708)           | (8,670)                                   |
| ჩამოწერილი აქტივების ცვეთა | 1,481                 |                       |                    |                                           |
| ბალანსი 31/12/2022         | 25,638                | 14,711                | 11,837             | 4,727                                     |
| დანამატები                 | 24,074                | 9,760                 | 1,993              |                                           |
| აქტივების ჩამოწერა         | (22,809)              |                       |                    | (3,323)                                   |
| ცვეთა პერიოდისათვის        | (17,608)              | (8,113)               | (7,916)            | (2,815)                                   |
| ჩამოწერილი აქტივების ცვეთა |                       |                       |                    |                                           |
| ბალანსი 31/12/2023         | 9,295                 | 16,358                | 5,915              | (1,412)                                   |
| <b>ბალანსი 31/12/2021</b>  | <b>56,329</b>         | <b>9,053</b>          | <b>20,172</b>      | <b>13,396</b>                             |
| <b>ბალანსი 31/12/2022</b>  | <b>25,638</b>         | <b>14,711</b>         | <b>11,837</b>      | <b>4,727</b>                              |
| <b>ბალანსი 31/12/2023</b>  | <b>9,295</b>          | <b>16,358</b>         | <b>5,915</b>       | <b>(1,412)</b>                            |

შპს „ბიუთი სიქრეტს“  
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს  
დასრულებული წლისთვის  
(ქართული ლარი)

beauty  
secrets



**მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი  
ვალდებულებები**

|                                                            | 12/31/2022     | 12/31/2023     |
|------------------------------------------------------------|----------------|----------------|
| მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი<br>ვალდებულებები | 199,635        | 107,064        |
| ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე                   | 5,689          | 11,426         |
| საგადასახადო ვალდებულებები                                 | 126            | 2053           |
| სხვა მიმდინარე ვალდებულებები                               |                | 126            |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>                         | <b>205,450</b> | <b>120,670</b> |

**სასესხო ვალდებულებები**

|                         | 12/31/2022    | 12/31/2023    |
|-------------------------|---------------|---------------|
| მოკლევადიანი სესხები    | 32,424        | 39319         |
| გრძელვადიანი სესხები    | 4,972         |               |
| გადასახადელი პროცენტები |               | 5666          |
| <b>სულ სესხები</b>      | <b>37,396</b> | <b>44,985</b> |

**შემოსავალი რეალიზაციიდან და თვითღირებულება**

|                                 | 12/31/2022       | 12/31/2023       |
|---------------------------------|------------------|------------------|
| შემოსავალი რეალიზაციიდან        | 4,048,164        | 5,066,544        |
| გაყიდული მარაგის თვითღირებულება | (2,181,043)      | (2,805,229)      |
| <b>სულ წმინდა შემოსავალი</b>    | <b>1,867,121</b> | <b>2,261,315</b> |

შპს „ბიუთი სიქრეტს“  
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს  
დასრულებული წლისთვის  
(ქართული ლარი)

beauty  
secrets



#### ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები

|                                                                | 12/31/2022     | 12/31/2023     |
|----------------------------------------------------------------|----------------|----------------|
| რეკლამის ხარჯი                                                 | 29,876         | 8,955          |
| მივლინების ხარჯი                                               |                | 156,928        |
| საკონფერენციო ხარჯი                                            | 13,448         | 6,773          |
| დაცვის მომსახურება                                             | 814            | 814            |
| საღარი აპარატების, ტელეფონების, სათვალთვალო<br>კამერების ხარჯი | 102            | 219            |
| კომუნალური ხარჯი                                               | 1,477          | 4,929          |
| კომპიუტერის ხარჯი                                              | 298            | 337            |
| კავშირგაბმულობის ხარჯი                                         | 7,477          | 6,527          |
| წარმომადგენლობითი ხარჯი                                        | 30,937         | 9,338          |
| სხვა ადმინისტრაციული ხარჯი                                     | 118,986        | 175,610        |
| <b>სულ ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები</b>                     | <b>203,414</b> | <b>370,430</b> |

დირექტორი

/მ. სურგულაძე /